



6349180580987

www.ecd.court.ge

საქმე №3-292-20

## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის წარმოებაში მიღების, მტკიცებულებათა გამოთხოვის,  
საქმეში მესამე პირების ჩაბმისა და სასამართლოს  
მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ

06.11.2020 წელი

ქ.რუსთავი

რუსთავის საქალაქო სასამართლო  
მოსამართლე ნატა თედეშვილი

მოსარჩელე - ააიპ „საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო“,  
გიორგი ბიძინაშვილი,

წარმომადგენელი- ნატალი გოგიაშვილი,

მოპასუხე - №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია,

დავის საგანი - №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 04 ნოემბრის №031/2020 განკარგულების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის საჩივრების არსებითი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დავალება;


ზეპირის მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 06 ნოემბერს სარჩელით მომართა გიორგი ბიძინაშვილმა და ააიპ „საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენელმა №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 04 ნოემბრის №031/2020 განკარგულების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის საჩივრების არსებითი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დავალების თაობაზე.

სასამართლომ შეამოწმა სარჩელი, თანდართული მასალები, მიიჩნევს, რომ იგი პასუხობს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე, 78-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე მუხლების მოთხოვნებს და მიღებული უნდა იქნეს განსახილველად.


საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი წარმოებაში მიღების ეტაპზე მიჩვეულ უნდა იქნეს დასაშვებად, ვინაიდან იგი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე, 78-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს.



სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირად ჩაბმა უზრუნველყოფს ამ პირის სამართლებრივი ინტერესებისა და უფლებების დაცვას, საქმის ყოველმხრივ განხილვას, პროცესის ეკონომიურობას, სამართლებრივ უზრუნველყოფას. საქმეში მესამე პირად ჩასაბმელი პირის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მისი როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი დაინტერესებით საქმის მსვლელობისადმი. მესამე პირთა ინსტიტუტი, რომელიც ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელოვან ინსტიტუტს განეკუთვნება, შესაძლებლობას ანიჭებს საქმეში ამ სტატუსით მონაწილე პირებს მოახდინონ თავიანთი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირთა ინსტიტუტი მოქმედებს იმ პირთა მიმართ, როლებიც არ წარმოადგენენ ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს, მაგრამ შესაძლოა სასამართლოს გადაწყვეტილებით განესაზღვროთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის მეორე ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადაო სამართალურთიერთობის მონაწილეები, რომელთა მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებული სადაო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე. ამასთან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს საქმის გარემოებათა სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დავის საგანს წარმოადგენს №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 04 ნოემბრის №031/2020 განკარგულების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის საჩივრების არსებითი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დავალება, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე სადაო სამართალურთიერთობის მონაწილეა №12.20.05; №12.21.29; საარჩევნო უბანი, (პარტია) „თეთრები“ , „ბაქრამე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა, თავისუფლებისთვის“, ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“, „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“, „მომავალი საქართველო“, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „მშრომელთა სოციალისტური პარტია“, „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“, „რეფორმერი“ , „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“, „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“, „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „მეჭიაძე პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“, „საქართველო“, „თავისუფალი საქართველო (ვახა კუკავა, გიორგი წულაია)“, „ახალი ძალა“, „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“.



დემოკრატები" , ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“, საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“, „ქართული ფესვები“, „შეცვალე საქართველო“, თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა, „სახალხო პარტია“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“, „სოციალური სამართლიანობისათვის“, „გირჩი“, "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", რეფორმატორები; „ზვიადის გზა“ (დმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის), „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“ , „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“, „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, „ზვიად მიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“, „არჩევანი სამშობლოსათვის“ , „ჯონდო ბალათურია - ქართული დასი“, „პროგრესული საქართველო“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“, „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“ , „ტრადიციონალისტები“, „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“, „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“, „ლელო - მამუკა ხაზარაძე“, მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“, „საქართველოს განვითარების პარტია“ .


საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, ხოლო ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე - რუსთავის №20 საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა დაევალოს წარმოსადგინოს გასაჩივრებულ განკარგულებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების დამოწმებული ასლები.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-4, მე-16.2, მე-19 მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე, 284-ე, 285-ე, 445-446-ე მუხლებით

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. გიორგი ბიძინაშვილისა და ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წარმომადგენლის სარჩელი მოპასუხე №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 04 ნოემბრის №031/2020 განკარგულების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის საჩივრების არსებითი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დავალების მოთხოვნით



განსახილველად;

2. საქმეზე დაინიშნოს მთავარი სხდომა 2020 წლის 07 ნოემბერს 19:00 საათზე, რის შესახებაც მხარეები გაფრთხილებული იქნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

3. №3-292-20 ადმინისტრაციულ საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ №12.20.05; №12.21.29; საარჩევნო უბანი, (პარტია) „თეთრები“ , „ბაქრამე, უგულავა, ზოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა, თავისუფლებისთვის“, ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“ „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“, „მომავალი საქართველო“, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „მშრომელთა სოციალისტური პარტია“, „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“, „რეფორმერი“ , „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“, „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“, „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“, „საქართველო“, „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“, „ახალი ძალა“, „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“, "თავისუფალი დემოკრატები" , ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“, საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“, „ქართული ფესვები“, „შეცვალე საქართველო“, თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა, „სახალხო პარტია“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“, „სოციალური სამართლიანობისათვის“, „გირჩი“, "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", რეფორმატორები; „ზვიადის გზა“ (დმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის), „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“ , „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“, „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, „ზვიად მიმიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“, „არჩევანი სამშობლოსათვის“ , „ჯონდო ბალათურია - ქართული დასი“, „პროგრესული საქართველო“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“, „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“ , „ტრადიციონალისტები“, „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“, „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“, „ლელი - მამუკა ხაზარაძე“, მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“, „საქართველოს განვითარების პარტია“ .


4. №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალოს წარმოადგინოს გასაჩივრებულ განკარგულებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების დამოწმებული ასლები, ჩანაწერთა წიგნაკები.

5. მოაასუხეს გაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული მასალების ასლები, მასვე განესაზღვროთ ვადა შესაგებლის წარმოსადგენად 2020 წლის 07 ნოემბერს 15:00 საათამდე.



6. განემართოს მესამე პირად ჩაბმულ პირებს, რომ სარგებლობენ მოსარჩელის და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრებათ მათი ყველა მოვალეობა;
7. განჩინება მესამე პირად ჩაბმის ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმული იქნა საქმეში მესამე პირად, ზემდგომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის ქ. №7) რუსთავის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. №6);
8. განჩინება დანარჩენ ნაწილში არ საჩივრდება.

მოსამართლე:



ნატა თედეშვილი